სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 სექტემბერი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/181

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: „საფინანსო სერვისები“ (მე-3 დონე), „ფარმაცია (სააფთიაქო) (მე-5 დონე), „საექთნო განათლება“ (მე-5 დონე), „აღმზრდელი“ (მე-5 დონე), „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე), „საბიბლიოთეკო საქმე“ (მე-4 დონე) 2026 წლის (საშემოდგომო) მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, „2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს MES 0260001081197 ბრძანების, „2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს MES 2260001081199 ბრძანების,„აპლიკანტის მიერ, 2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, აპლიკანტისათვის რეიტინგში მისი ადგილის შესახებ (რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთის, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება, არჩევის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს MES 5 26 0001081219 ბრძანების, „2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს MES 5260001081200 ბრძანების, „2026 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს MES 2260001081162 ბრძანების, „2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს MES 4260001081182 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების

მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 16 სექტემბრის №1247272 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026 წლის **შემოდგომისათვის** გამოცხადდეს მიღება წინამდებარე ბრძანების **№1 დანართით** გათვალისწინებულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: ,,საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე), ,,ფარმაცია (სააფთიაქო) (მე-5 დონე)), ,,საექთნო განათლება" (მე-5 დონე), ,,აღმზრდელი" (მე-5 დონე), ,,ბუღალტრული აღრიცხვა" (მე-5 დონე), ,,საბიბლიოთეკო საქმე" (მე-4 დონე).
2. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაცია განხორციელდეს **2026 წლის 21 სექტემბრიდან 09 ოქტომბრის ჩათვლით,** ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - http://vet.ge/ ან/და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერით - შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, III სართული, ოთახი №310 (ცხელი ხაზი: 577 49 19 39).
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრმა უზრუნველყოს** ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე წინამდებარე ბრძანებით მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების მომზადება და წინამდებარე ბრძანებასთან ერთად განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'').
4. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე წინამდებარე ბრძანებით მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ გავრცელდეს სოციალურ ქსელში, ცენტრის გვერდზე.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი''), ასევე ცენტრისა და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: „საფინანსო სერვისები“ (მე-3 დონე), „ფარმაცია (სააფთიაქო) (მე-5 დონე)), „საექთნო განათლება“ (მე-5 დონე), „აღმზრდელი“ (მე-5 დონე), „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე), „საბიბლიოთეკო საქმე“ (მე-4 დონე) 2026 წლის (საშემოდგომო) მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 18 სექტემბრის № 01-02/181 ბრძანების

№1 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც ცხადდება მიღება 2026 წლის შემოდგომისათვის
(2026 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლა დაიწყება **2026 წლის 01 დეკემბერს**)

	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში		ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით		მისაღები კონტინგენტი (ადგილების რაოდენობა) – 79 ადგილი (მათ შორის 7 - სსსმ პირთათვის)	
		ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	მისაღები კონტინგენტი ჯამში	მისაღები კონტინგენტიდან (მათ შორის) ადგილების რაოდენობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის
1	საფინანსო სერვისები (III დონე)	52	67	8	11	20	2
2	აღმზრდელი (V დონე)	116	146	24	29	13	1
3	საექთნო განათლება (V დონე)	180	210	31	37	14	1
4	ფარმაცია (სააფთიაქო) (V დონე)	123	153	24	30	15	1
5	ბუღალტრული აღრიცხვა (V დონე)	99	129	22	27	7	1
6	საბიბლიოთეკო საქმე (IV დონე)	94	124	18	23	10	1
	სულ:					სულ - 79	სულ - 7